# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 0 1 - 0 7 / 3 9/28

## გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქობულეთი 11 ოქტომბერი 2016 წელი

ერთი მხრივ ს.ს.ი.პ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ქალაქ ქობულეთის №5 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“) სკოლის დირექტორი **ნარგიზ ჯინჭარაძის** და მეორეს მხრივ „შპს აუდიტ-სტანდარტი“ ს დირექტორის **ვანო ხვთისიაშვილის** სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“), სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარულიდღე, კვირა, თვე;
1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულიხელშეკრულებისსაგანი;

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელი ღებულობს ვალდებულებას სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ქალაქ ქობულეთის №5 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული შენობა ნაგებობებიდან იჯარით გასაცემი ფართობების საბაზრო ღირებულების საფასურის დადგენა/განსაზღვრა **(შესყიდვის კოდი 79200000)** ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მომსახურეობისათვის საჭირო ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **50 (ორმოცდაათი) ლარს.**
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

### 4. მიწოდების ვადა და ადგილი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების გაწევა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად **2016 წლის 11 ოქტომბრიდან 2016 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.**

4.2. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
4.3. მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება გაწეული მომსახურების ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
4.4. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.
4.5. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხოდ განხორციელებული მომსახურების მიღებაზე.
4.6. მომსახურების მიწოდების ადგილია **ქობულეთი, თხილაიშვილის ქუჩა №42;**

---------- ----------
შემსყიდველი მიმწოდებელი

## 5. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

5.1.სამუშაოს შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

5.2. სამუშაოს შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული მომსახურებისა და ამ მომსახურებაზე მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

5.3.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 დღის განმავლობაში.

## 6. გარანტია

6.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას სათანადო ხარისხით დადგენილ ვადებში განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

6.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს.

6.3. 6.1. და 6.2. პუნქტებში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.5. მიმწოდებლის მიერ 6.4. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველ სუფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარჯების ანაზღაურება, ან ეს თანხა გამოქვითოს ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სკოლის სამეურნეო ნაწილის გამგე.

7.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

---------- ----------

შემსყიდველი მიმწოდებელი

## 9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავად ამათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

9.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

9.4. 9.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან

11.3. ხელშეკრულების 11.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

11.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 15 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 11.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

---

შემსყიდველი

---

მიმწოდებელი

## 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

## 13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.
13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისიუფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობი სმიხედვით.
13.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიანდგება.
13.5. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
13.6. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2016 წლის 30 ნოემბრამდე.**

## 15. მხარეთარეკვიზიტები

| **შემსყიდველი** | **მიმწოდებელი** |
|---|---|
| ს.ს.ი.პ ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის<br>ქალაქ ქობულეთის №5 საჯარო სკოლა;<br>ქობულეთი, თხილაიშვილის ქ. №42;<br>საინდ/კოდი 246 998 502<br>ანგ/ნომერი GE51LB0121149014648000<br><br>სს ,,ლიბერთი ბანკი"<br>ბანკის კოდი; LBRTGE22 | შპს „აუდიტ-სტანდარტი"<br>ქ. თბილისი, ქინმმარაულის შეს. კორპ. 14. ბ.13<br>ს/კ 206190469<br><br>ანგ/ნომერი GE62BS00 0000 0006 5367 50<br>მიმღები ბანკი : ს/ს "ბაზის ბანკი"<br>ბანკის კოდი; GBASGE22 |
| დირექტორი /ნარგიზ ჯინჭარაძე/ | დირექტორი /ვახო ხვთისიაშვილი/ |

## დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

შესყიდვის ობიექტია:

| № | დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | აუდიტორული მომსახურეობა | მომსახურება | ერთჯერ | 50 ლარი | 50 ლარი |
| | | | | | |
| | | | | | |
| სულ ღირებულება | | | (ორმოცდაათილარი) | | 50 ლარი |

სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის
ქ. ქობულეთის №5 საჯარო სკოლის
სკოლის დირექტორი /ნარგიზ ჯინჭარაძე/

შპს „აუდიტ სტანდარტი"-ის დირექტორი /ვანო ხვთისიაშვილი/

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქობულეთი 13 ოქტომბერი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი სსიპ ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის №5 საჯარო სკოლა, (შემდგომში შემსყიდველი) სკოლის დირექტორი **ნარგიზ ჯინჭარაძე** და მეორეს მხრივ შპს „აუდიტ-სტანდარტი"- ს დირქტორი **ვანო ხვთისიაშვილი** (შემდგომში მიმწოდებელი) ვადგენთ წინამდებარე მიღება–ჩაბარების აქტს მასზედ, რომ თანახმად 2016 წლის 11 ოქტომბრის №01–07/39 ხელშეკრულებისა, მიმწოდებელმა განახორციელა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, **კერძოდ: ქობულეთის №5 საჯარო სკოლის საიჯაროდ გასაცემი ფართების საბაზრო ღირებულების შეფასება განსაზღვრა/დადგენა**, რისთვისაც შემსყიდველმა უნდა გადაურიცხოს მიმწოდებელს **50,00 (ორმოცდაათი) ლარი 00 თეთრი.**

მიღება–ჩაბარების აქტი შედგება ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარისაგან, რაზედაც ვაწერთ ხელს.

ჩააბარა: მიიღო:

ნ. ჯინჭარაძე ვ. ხვთისიაშვილი